$K_3$  - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$K_4$  - გარეშე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$K_5$  - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$K_7$  - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტია;

$B$  - გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტია;

$G$  - დანადგარის წარმადობა, ტ/სთ;

### გაფრქვევები ნედლეულის შენეხვისას

ნედლეულის საწყობიდან გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვ.}} = K_3 \times K_4 \times K_6 \times K_7 \times q \times f \text{ გ/წმ, (5.2)}$$

სადაც,

$K_3$  - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტია;

$K_4$  - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტია;

$K_6$  - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტია, მერყეობს 1,3-დან 1,6-მდე;

$K_7$  - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტია;

$q$  - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1 მ<sup>2</sup> ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან, გ/მ<sup>2</sup>

წმ;

f - ამტვერების ზედაპირია, მ<sup>2</sup>.

აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები საწარმოს კონკრეტული პირობებისათვის მოცემულია ცხრილ 5.1-ში.

ცხრილი 5.1.

მასალების გაფრქვევის მახასიათებლები

1/2	პარამეტრის დასახელება	აღნი-შვნა	განზომილების ერთეული	პარამეტრების მნიშვნელობა		
				დანამატები	თაბაშირი	კლინკერი
1	2	3	4	5	6	7
1	მასალაში მტვრის ფრაქციის წილი	K <sub>1</sub>	მასიური წილი	0.01	0.03	0.01
2	მტვრის მთლიანი მასიდან აეროზო-ლში გადასული მტვრის წილი	K <sub>2</sub>	“...“	0.01	0.02	0.003
3	მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქა-რის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი	K <sub>3</sub>	უგანზ. კოეფ.	1.0	1.0	1.0
4	გარეშე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახ. კოეფიციენტი	K <sub>4</sub>	უგანზ. კოეფ.	0.1	0.1	0.1
5	მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი	K <sub>5</sub>	უგანზ. კოეფ.	0.7	0.7	0.7
6	მასალის ზედაპირის პროფი-ლზე დამოკიდებულების კოეფიციენტი	K <sub>6</sub>	უგანზ. კოეფ.	1.35	1.35	1.35
7	გადასამუშავებელი მასალის ზომე-ბის მახასიათებელი კოეფიციენტი	K <sub>7</sub>	უგანზ. კოეფ.	0.5	0.6	0.6
8	1 მ <sup>2</sup> ფართობიდან მტვრის ატაცება	q	გ/მ <sup>2</sup> წმ	0.002	0.002	0.002
9	საწყობის ფართობი	F	მ <sup>2</sup>	50	50	200
10	ობიექტის მწარმოებლობა	G	ტ/სთ	7.200 0.750* 2.250**	2.400 0.250* 0.750**	38.400 4.000* 12.000**
11	გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტი	B	უგანზ. კოეფ.	0.5	0.5	0.5

შენიშვნა: \* - 5 ტ/სთ წარმადობის მიმღები ბუნკერი; \* - 15 ტ/სთ წარმადობის მიმღები ბუნკერი;

გაფრქვევები ნედლეულის მიღება-დასაწყობებისას (№501 და №502 წყარო, გ-7, გ-8);

გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულა (5.1)-ში ცხრილ-5.1-ის სვეტი 5.7 მონაცემების ჩასმით. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ნედლეულის

დასაწყობება საწყობში განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში, დღეში 10 საათიანი რეჟიმით წელიწადში 340 დღე, ანუ 3400 საათი წელიწადში.

**გაფრქვევის სიმძლავრე კლინკერის საწყობიდან (გ-7 გაფრქვევის წყარო)**

ნედლეულის დასაწყობებისას გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულა (5.1)-ში ცხრილ-5.1-ის სვეტი 7-ის მონაცემების ჩასმით.

$$M=0.01 \times 0.003 \times 1.0 \times 0.1 \times 0.7 \times 0.6 \times 38.400 \times 0.5 \times 10^6 / 3600 = 0.00672 \text{ გ/წმ};$$

$$G=0.00672 \times 10 \times 3600 \times 340 / 10^6 = 0.082 \text{ ტ/წელ}$$

კლინკერის შენახვისას საწყობიდან გაფრქვევთვის ინტენსივობები იანგარიშება ფორმულა (4.2)-ში ცხრილ-4.1.3-ის სვეტი 8-ის მონაცემების ჩასმით.

$$M=1.0 \times 0.1 \times 1.35 \times 0.6 \times 0.002 \times 200 = 0.0324 \text{ გ/წმ};$$

$$G=0.0324 \times 24 \times 3600 \times 365 / 10^6 = 1.022 \text{ ტ/წელ}.$$

მაშასადამე ჯამური გაფრქვევის ინტენსივობები კლინკერის დასაწყობება-შენახვისას გ-13 გაფრქვევის წყაროდან ტოლი იქნება:

$$M=0.00672 + 0.0324 = 0.03912 \text{ გ/წმ};$$

$$G=0.082 + 1.022 = 1.104 \text{ ტ/წელ}.$$

**გაფრქვევის სიმძლავრე თაბაშირის და დანამატების საწყობიდან (გ-8 გაფრქვევის წყარო)**

ნედლეულის დასაწყობებისას გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულა (5.1)-ში ცხრილ-5.1-ის სვეტი 5-6-ის მონაცემების ჩასმით.

**თაბაშირისათვის:**

$$M=0.03 \times 0.02 \times 1.0 \times 0.1 \times 0.7 \times 0.6 \times 2.400 \times 0.5 \times 10^6 / 3600 = 0.0084 \text{ გ/წმ};$$

$$G=0.0084 \times 10 \times 3600 \times 340 / 10^6 = 0.103 \text{ ტ/წელ}.$$

თაბაშირის შენახვისას საწყობიდან გაფრქვევთვის ინტენსივობები იანგარიშება ფორმულა (5.2)-ში ცხრილ-5.1-ის სვეტი 6-ის მონაცემების ჩასმით.

$$M=1.0 \times 0.1 \times 1.35 \times 0.6 \times 0.002 \times 50 = 0.0081 \text{ გ/წმ};$$

$$G=0.0081 \times 24 \times 3600 \times 365 / 10^6 = 0.255 \text{ ტ/წელ}.$$

მაშასადამე ჯამური გაფრქვევის ინტენსივობები თაბაშირის დასაწყობება-შენახვისას ტოლი იქნება:

$$M=0.0084 + 0.0081 = 0.0165 \text{ გ/წმ};$$

$$G=0.103 + 0.255 = 0.358 \text{ ტ/წელ}.$$

**დანამატებისათვის (ღორღისათვის):**

$$M = 0.01 \times 0.01 \times 1.0 \times 0.1 \times 0.7 \times 0.5 \times 7.200 \times 0.5 \times 10^6 / 3600 = 0.0035 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0.0035 \times 3400 \times 3600 / 10^6 = 0.043 \text{ ტ/წელი}.$$

დანამატების შენახვისას საწყობიდან გაფრქვევთვის ინტენსივობები იანგარიშება ფორმულა (5.2)-ში ცხრილ-5.1-ის სვეტი 5-ის მონაცემების ჩასმით:

$$M=1.0 \times 0.1 \times 1.35 \times 0.5 \times 0.002 \times 50 = 0.00675 \text{ გ/წმ};$$

$$G=0.00675 \times 24 \times 3600 \times 365 / 10^6 = 0.213 \text{ ტ/წელ.}$$

მაშასადამე ჯამური გაფრქვევის ინტენსივობები დანამატების დასაწყობება-შენახვისას ტოლი იქნება:

$$M=0.0035+0.00675=0.01025 \text{ გ/წმ;}$$

$$G=0.043+0.213=0.256 \text{ ტ/წელ.}$$

მაშასადამე ჯამური გაფრქვევების ინტენსივობები გაფრქვევის გ-4 წყაროდან ტოლი იქნება:

$$M= 0.0165+0.01025= 0.02675 \text{ გ/წმ;}$$

$$G= 0.358+0.256=0.614 \text{ ტ/წელ.}$$

**გაფრქვევები - კლინკერის და დანამატების 5 ტ/სთ წარმადობის წისქვილის მიმღებ ბუნკერში ჩაყრისას (გაფრქვევის გ-9 წყარო):**

გამოყოფილი მტვრის რაოდენობა თითოეული წისქვილის მიმღები ბუნკერიდან იანგარიშება ფორმულა (5.1)-ში ცხრილ-5.1-ის სვეტი 5,7 მონაცემების ჩასმით.

**კლინკერისათვის:**

$$M=0.01 \times 0.003 \times 1.0 \times 0.1 \times 0.7 \times 0.6 \times 4.000 \times 0.5 \times 10^6 / 3600 = 0.0007 \text{ გ/წმ;}$$

$$G=0.0007 \times 24 \times 3600 \times 340 / 10^6 = 0.021 \text{ ტ/წელ}$$

**თაბაშირისათვის:**

$$M=0.03 \times 0.02 \times 1.0 \times 0.1 \times 0.7 \times 0.6 \times 0.250 \times 0.5 \times 10^6 / 3600 = 0.000875 \text{ გ/წმ;}$$

$$G=0.000875 \times 24 \times 3600 \times 340 / 10^6 = 0.026 \text{ ტ/წელ.}$$

**დანამატებისათვის (ლორდი):**

$$M = 0.01 \times 0.01 \times 1.0 \times 0.1 \times 0.7 \times 0.5 \times 0.750 \times 0.5 \times 10^6 / 3600 = 0.00036 \text{ გ/წმ;}$$

$$G= 0.00036 \times 24 \times 3600 \times 340 / 10^6 = 0.011 \text{ ტ/წელი}$$

მაშასადამე ნედლეულის კაზმის ბუნკერში ჩაყრისას გაფრქვევის ინტენსივობები შესაბამისად ტოლი იქნება:

**ცემენტის მტვერი:**

$$M=0.0007 \text{ გ/წმ;}$$

$$G=0.021 \text{ ტ/წელ.}$$

**არაორგანული მტვერი:**

$$M=0.000875+0.00036=0.001235 \text{ გ/წმ;}$$

$$G=0.026+0.011=0.037 \text{ ტ/წელ.}$$

**გაფრქვევები - კლინკერის და დანამატების 15 ტ/სთ წარმადობის წისქვილის მიმღებ ბუნკერში ჩაყრისას (გაფრქვევის გ-10 წყარო):**

გამოყოფილი მტვრის რაოდენობა თითოეული წისქვილის მიმღები ბუნკერიდან იანგარიშება ფორმულა (5.1)-ში ცხრილ-5.1-ის სვეტი 5,7 მონაცემების ჩასმით.

**კლინკერისათვის:**

$$M=0.01 \times 0.003 \times 1.0 \times 0.1 \times 0.7 \times 0.6 \times 12.000 \times 0.5 \times 10^6 / 3600 = 0.0021 \text{ გ/წმ;}$$

$$G=0.0021 \times 24 \times 3600 \times 340 / 10^6 = 0.062 \text{ ტ/წელ}$$

**თაბაშირისათვის:**

$$M=0.03 \times 0.02 \times 1.0 \times 0.1 \times 0.7 \times 0.6 \times 0.750 \times 0.5 \times 10^6 / 3600 = 0.002625 \text{ გ/წმ};$$

$$G=0.002625 \times 24 \times 3600 \times 340 / 10^6 = 0.077 \text{ ტ/წელ.}$$

**დანამატებისათვის (ღორღი):**

$$M = 0.01 \times 0.01 \times 1.0 \times 0.1 \times 0.7 \times 0.5 \times 2.250 \times 0.5 \times 10^6 / 3600 = 0.00109 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0.00109 \times 24 \times 3600 \times 340 / 10^6 = 0.032 \text{ ტ/წელი}$$

მაშასადამე ნედლეულის კაზმის ბუნკერში ჩაყრისას გაფრქვევის ინტენსივობები შესაბამისად ტოლი იქნება:

**ცემენტის მტვერი:**

$$M=0.0021 \text{ გ/წმ};$$

$$G=0.062 \text{ ტ/წელ.}$$

**არაორგანული მტვერი:**

$$M=0.002625+0.00109=0.003715 \text{ გ/წმ};$$

$$G=0.077+0.032=0.109 \text{ ტ/წელ.}$$

**გაფრქვევები კაზმის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას 5 ტ/სთ წარმადობის წისკვილში (გაფრქვევის გ-11 წყარო):**

კაზმის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას მტვრის გაფრქვევები იანგარიშება ფორმულით:

$$M_K = 3.6 \times K_3 \times K_5 \times W_K \times L \times l \times \gamma \times T, \text{ ტ/წელ};$$

სადაც:

$K_3$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ მეტეო პირობებს ;

$K_5$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

$W_K$  - ლენტური ტრანსპორტიორიდან კუთრი ამტვერება, კგ/მ<sup>2</sup>\*წმ;

$L$  - ლენტური ტრანსპორტიორის სიგანე, მ.

$l$  - ლენტური ტრანსპორტიორის სიგრძე, მ.

$\Gamma$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის დაწვრილმარცვლოვანებას;

$T$  - მუშაობის წლიური დრო, სთ/წელ;

მაქსიმალური ერთჯერადი ემისია რომელიც წარმოიქმნება მასალის ტრანსპორტირებისას ღია ლენტური კონვეირიდან, განისაზღვრება ფორმულით:

$$M_K = K_3 \times K_5 \times W_K \times L \times l \times \gamma \times 10^3, \text{ გ/წმ};$$

ატმოსფერულ ჰაერში დამბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

$$M = 1.0 \times 0.7 \times 0.0000045 \times 6 \times 0.5 \times 0.5 \times 10^3 = 0.004725 \text{ გ/წმ};$$

$$M = 3.6 \times 1.0 \times 0.01 \times 0.0000045 \times 12 \times 0.5 \times 0.5 \times 8160 = 0.139 \text{ ტ/წელ.}$$

აქედა ცემენტის მტვრისა და არაორგანული მტვრის გაფრქვევები შესაბამისად ტოლი იქნება:

**ცემენტის მტვერი:**

$$M= 0.004725 \times 0.8=0.00378 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0.139 \times 0.8 = 0.111 \text{ ტ/წელ.}$$

**არაორგანული მტვერი:**

$$M = 0.004725 \times 0.2 = 0.000945 \text{ გ/წმ;}$$

$$G = 0.139 \times 0.2 = 0.028 \text{ ტ/წელ.}$$

**გაფრქვევები კაზმის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას 15 ტ/სთ წარმადობის წისქვილში (გაფრქვევის გ-12 წყარო):**

კაზმის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას მტვრის გაფრქვევები იანგარიშება ფორმულით:

$$M_K = 3.6 \times K_3 \times K_5 \times W_K \times L \times l \times \gamma \times T, \text{ ტ/წელ;}$$

სადაც:

$K_3$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ მეტეო პირობებს ;

$K_5$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

$W_K$  - ლენტური ტრანსპორტიორიდან კუთრი ამტვერება, კგ/მ<sup>2</sup>\*წმ;

$L$  - ლენტური ტრანსპორტიორის სიგანე, მ.

$l$  - ლენტური ტრანსპორტიორის სიგრძე, მ.

$\Gamma$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის დაწვრილმარცვლოვანებას;

$T$  - მუშაობის წლიური დრო, სთ/წელ;

მაქსიმალური ერთჯერადი ემისია რომელიც წარმოიქმნება მასალის ტრანსპორტირებისას ღია ლენტური კონვეირიდან, განისაზღვრება ფორმულით:

$$M_{TK} = K_3 \times K_5 \times W_K \times L \times l \times \gamma \times 10^3, \text{ გ/წმ;}$$

ატმოსფერულ ჰაერში დამბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

$$M = 1.0 \times 0.7 \times 0.0000045 \times 6 \times 0.5 \times 0.5 \times 10^3 = 0.004725 \text{ გ/წმ;}$$

$$M = 3.6 \times 1.0 \times 0.01 \times 0.0000045 \times 12 \times 0.5 \times 0.5 \times 8160 = 0.139 \text{ ტ/წელ.}$$

აქედა ცემენტის მტვრისა და არაორგანული მტვრის გაფრქვევები შესაბამისად ტოლი იქნება:

**ცემენტის მტვერი:**

$$M = 0.004725 \times 0.8 = 0.00378 \text{ გ/წმ;}$$

$$G = 0.139 \times 0.8 = 0.111 \text{ ტ/წელ.}$$

**არაორგანული მტვერი:**

$$M = 0.004725 \times 0.2 = 0.000945 \text{ გ/წმ;}$$

$$G = 0.139 \times 0.2 = 0.028 \text{ ტ/წელ.}$$

**გაფრქვევები ცემენტისა დაფქვისას 5.0 ტ/სთ წარმადობის ბურთულეზიან წისქვილებში (№1, წყარო, გ-1):**

ცემენტის დაფქვისას წარმოქმნილი აირმტვერნარევის მოცულობა ყოველ 1 კილოგრამ პროდუქტზე შეადგენს 0.7 მ<sup>3</sup>/კგ. რადგან წისქვილის წარმადობა ტოლია 5 ტ/სთ, ამიტომ აირმტვერნარევის მოცულობა ტოლი იქნება 3500 მ<sup>3</sup>/სთ. მტვრის

კონცენტრაცია აირმტვერნარევი შუადგენს 300 გ/მ<sup>3</sup>-ში. მაშინ გაფრქვევის ინტენსივობა გაწმენდის გარეშე ტოლი იქნება 291.667 გ/წმ.

ხოლო წლიური გაფრქვევის ინტენსივობა ტოლი იქნება:

$$G=291.667 \times 3600 \times 8160 / 10^6 = 8568.010 \text{ ტ/წელ.}$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს აირმტვერნარევი პირველ საფეხურზე გაივლის ციკლონს, რომლის ეფექტურობა ტოლია 60%-ის, გვექნება:

$$M=291.667 \times 0.40 = 119.667 \text{ გ/წმ.}$$

ხოლო წლიური გაფრქვევის ინტენსივობა ტოლი იქნება:

$$G=119.667 \times 3600 \times 8160 / 10^6 = 3427.204 \text{ ტ/წელ.}$$

II საფეხურის გამწმენდ დანადგარსი – სახელოებიან ფილტრში გავლის შემდეგ, რომლის ეფექტურობა ტოლია 99.9 %-ის, გვექნება:

$$M=119.667 \times 0.001 = 0.11967 \text{ გ/წმ.}$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ წისქვილი წელიწადში იმუშავებს 8160 სთ, აქედან გამომდინარე წლიურად გაფრქვეული მტვრის მასა ტოლი იქნება:

$$G=0.11967 \times 3600 \times 8160 / 10^6 = 3.156 \text{ ტ/წელ.}$$

ცემენტის ცისქვილიდან წარმოქმნილი აირმტვერნარევი გაწმენდის შემდეგ გაიფრქვევა ატმოსფეროში 9 მეტრი სიმაღლის მილით, რომლის დიამეტრი იქნება 0.4 მეტრი, მოცულობითი სიჩქრე 0.972 მ<sup>3</sup>/წმ, სიჩქარე 7.741 მ/წმ.

**გაფრქვევები ცემენტისა დაფქვისას 15.0 ტ/სთ წარმადობის ბურთულეებიან სეპარატორული წისქვილებში (№2, წყარო, გ-2):**

ცემენტის დაფქვისას სეპარატორულ წისქვილში წარმოქმნილი აირმტვერნარევის მოცულობა ყოველ 1 კილოგრამ პროდუქტზე შუადგენს 0.92 მ<sup>3</sup>/კგ. რადგან წისქვილის წარმადობა ტოლია 15 ტ/სთ, ამიტომ აირმტვერნარევის მოცულობა ტოლი იქნება 13800 მ<sup>3</sup>/სთ. მტვრის კონცენტრაცია აირმტვერნარევი შუადგენს 700 გ/მ<sup>3</sup>-ში. მაშინ გაფრქვევის ინტენსივობა გაწმენდის გარეშე ტოლი იქნება 2683.333 გ/წმ.

ხოლო წლიური გაფრქვევის ინტენსივობა ტოლი იქნება:

$$G=2683.333 \times 3600 \times 8160 / 10^6 = 78826.600 \text{ ტ/წელ.}$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს აირმტვერნარევი პირველ საფეხურზე გაივლის დამლექ კამერას, რომლის ეფექტურობა ტოლია 10%-ის, გვექნება:

$$M=2683.333 \times 0.90 = 2415.000 \text{ გ/წმ.}$$

ხოლო წლიური გაფრქვევის ინტენსივობა ტოლი იქნება:

$$G=2415.000 \times 3600 \times 8160 / 10^6 = 70943.031 \text{ ტ/წელ.}$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს აირმტვერნარევი მეორე საფეხურზე გაივლის ციკლონს, რომლის ეფექტურობა ტოლია 70%-ის, გვექნება:

$$M=2415.000 \times 0.30 = 724.500 \text{ გ/წმ.}$$

ხოლო წლიური გაფრქვევის ინტენსივობა ტოლი იქნება:

$$G=724.500 \times 3600 \times 8160 / 10^6 = 21282.912 \text{ ტ/წელ.}$$

III საფეხურის გამწმენდ დანადგარსი – სახელოებიან ფილტრში გავლის შემდეგ,

რომლის ეფექტურობა ტოლია 99.9 %-ის, გვექნება:

$$M=724.500 \times 0.001=0.7245 \text{ გ/წმ.}$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ წისქვილი წელიწადში იმუშავებს 8160 სთ, აქედან გამომდინარე წლიურად გაფრქვეული მტვრის მასა ტოლი იქნება:

$$G=0.7245 \times 3600 \times 8160/10^6= 21.283 \text{ ტ/წელ.}$$

ცემენტის ცისქვილიდან წარმოქმნილი აირმტვერნარევი გაწმენდის შემდეგ გაიფრქვევა ატმოსფეროში 12 მეტრი სიმაღლის მილით, რომლის დიამეტრი იქნება 0.5 მეტრი, მოცულობითი სიჩქრე 3.833 მ<sup>3</sup>/წმ, სიჩქარე 19.533 მ/წმ.

### გაფრქვევები - ცემენტის 5 ტ/სთ წარმადობის წისქვილიდან ცემენტის სილოსებში ჩაყრისას (გაფრქვევის გ-3 წყარო):

საწარმოში ექსპლოატაციის პირობების ცვლილების შემდეგ დამონტაჟებული იქნება არსებულებთან ერთად სულ 11 სილოსი, საიდანაც ნაწილი მოემსახურება არსებულ წისქვილს, ხოლო ნაწილი დასამონტაჟებელ 15 ტ/სთ წარმადობის სისქვილს.

კერძოდ ერთ მოედანზე დადგმული 8 ცალი სილოსი, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებული იქნება და ექნება ერთი მტვერდამჭერი სისტემა (სახელოებიანი ფილტრი) მოემსახურება ერთ წისქვილს, ხოლო მეორე მოედანზე განთავსებული 3 სილოსი, ასევე ერთიანოი მტვერდამჭერი სისტემით, მეორე სილოსს.

ცემენტის ტრანსპორტირებისას წარმოქმნილი აირმტვერნარევის მოცულობა ყოველ 1 კილოგრამ პროდუქტზე შეადგენს 0.5 მ<sup>3</sup>/კგ. რადგან წისქვილის მუშაობის რეჟიმი ისეთია, რომ საათში თითოეულ სილოსში ხდება მხოლოდ 5 ტ ცემენტის გადატვირთვა, ამიტომ აირმტვერნარევის მოცულობა ტოლი იქნება 2500 მ<sup>3</sup>/სთ. მტვრის კონცენტრაცია აირმტვერნარევიში შეადგენს 80 გ/მ<sup>3</sup>-ში. მაშინ გამოფრქვევის ინტენსივობები გაწმენდის გარეშე ტოლი იქნება:

$$M= 2500 \times 80/3600=55.556 \text{ გ/წმ.}$$

$$G=55.556 \times 3600 \times 8160/10^6= 1932.000 \text{ ტ/წელ.}$$

თუ გავითვალისწინებთ, რო ეს აირმტვერნარევი გაივლის გამწმენდ დანადგარს, ქსოვილიან ფილტრს (სახელოებიანი ფილტრები), რომლის ეფექტურობა ტოლია 99.9 %-ის, გვექნება:

$$M=55.556 \times 0.001=0.05556 \text{ გ/წმ.}$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ 5 ტ/სთ წარმადობის წისქვილების მუშაობის რეჟიმი მთლიანად წელიწადში შეადგენს 8160 სთ-ს, აქედან გამომდინარე წელიწადში გაფრქვეული მასა მტვრისა ატმოსფეროში ტოლი იქნება:

$$G=0.05556 \times 3600 \times 8160/10^6= 1.632 \text{ ტ/წელ.}$$

ცემენტის სილოსიდან წარმოქმნილი აირმტვერნარევი გაწმენდის შემდეგ გაიფრქვევა ატმოსფეროში 14 მეტრი სიმაღლის მილით, რომლის დიამეტრი იქნება 0.4 მეტრი, მოცულობითი სიჩქრე 0.694 მ<sup>3</sup>/წმ, სიჩქარე 5.529 მ/წმ.



**გაფრქვევები - ცემენტის 15 ტ/სთ წარმადობის წისქვილიდან ცემენტის სილოსებში ჩაყრისას (გაფრქვევის გ-4 წყარო):**

საწარმოში ექსპლოატაციის პირობების ცვლილების შემდეგ დამონტაჟებული იქნება არსებულებთან ერთად სულ 11 სილოსი, საიდანაც ნაწილი მოემსახურება არსებულ წისქვილს, ხოლო ნაწილი დასამონტაჟებელ 15 ტ/სთ წარმადობის სისქვილს.

კერძოდ ერთ მოედანზე დადგმული 8 ცალი სილოსი, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებული იქნება და ექნება ერთი მტვერდამჭერი სისტემა (სახელოებიანი ფილტრი) მოემსახურება ერთ წისქვილს, ხოლო მეორე მოედანზე განთავსებული 3 სილოსი, ასევე ერთიანოი მტვერდამჭერი სისტემით, მეორე სილოსს.

ცემენტის ტრანსპორტირებისას წარმოქმნილი აირმტვერნარევის მოცულობა ყოველ 1 კილოგრამ პროდუქტზე შეადგენს 0.5 მ<sup>3</sup>/კგ. რადგან წისქვილის მუშაობის რეჟიმი ისეთია, რომ საათში თითოეულ სილოსში ხდება მხოლოდ 15 ტ ცემენტის გადატვირთვა, ამიტომ აირმტვერნარევის მოცულობა ტოლი იქნება 7500 მ<sup>3</sup>/სთ. მტვრის კონცენტრაცია აირმტვერნარევაში შეადგენს 80 გ/მ<sup>3</sup>-ში. მაშინ გამოფრქვევის ინტენსივობები გაწმენდის გარეშე ტოლი იქნება:

$$M = 7500 \times 80 / 3600 = 166.667 \text{ გ/წმ.}$$

$$G = 166.667 \times 3600 \times 8160 / 10^6 = 4896.000 \text{ ტ/წელ.}$$

თუ გავითვალისწინებთ, რო ეს აირმტვერნარევი გაივლის გამწმენდ დანადგარს, ქსოვილიან ფილტრს (სახელოებიანი ფილტრები), რომლის ეფექტურობა ტოლია 99.9 %-ის, გვექნება:

$$M = 166.667 \times 0.001 = 0.16667 \text{ გ/წმ.}$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ 15 ტ/სთ წარმადობის წისქვილების მუშაობის რეჟიმი მთლიანად წელიწადში შეადგენს 8160 სთ-ს, აქედან გამომდინარე წელიწადში გაფრქვეული მასა მტვრისა ატმოსფეროში ტოლი იქნება:

$$G = 0.16667 \times 3600 \times 8160 / 10^6 = 4.896 \text{ ტ/წელ.}$$

ცემენტის სილოსიდან წარმოქმნილი აირმტვერნარევი გაწმენდის შემდეგ გაიფრქვევა ატმოსფეროში 14 მეტრი სიმაღლის მილით, რომლის დიამეტრი იქნება 0.4 მეტრი, მოცულობითი სიჩქრე 2.083 მ<sup>3</sup>/წმ, სიჩქარე 16.587 მ/წმ.

**გაფრქვევები პროდუქციის ცემენტშიდებში გადატვირთვისას (გ-5 გაფრქვევის წყარო):**

ყოველ ერთ ტონა გადატვირთულ პროდუქტზე გამოყოფილი მტვრის რაოდენობა შეადგენს 0.1 მ<sup>3</sup>/კგ. რადგან ცემენტის გადატვირთვის წარმადობა ტოლია 32.0 ტ/სთ, ამიტომ აირმტვერნარევის მოცულობა ცემენტის გადატვირთვისას ტოლი იქნება 3200 მ<sup>3</sup>/სთ. მტვრის კონცენტრაცია აირმტვერნარევაში შეადგენს 40 გ/მ<sup>3</sup>-ში. მაშინ გამოფრქვევის ინტენსივობა გაწმენდის გარეშე ტოლი იქნება 3200x40/3600=35.556 გ/წმ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ თითოეული წყაროდან ცემენტშიდებით გასაცემი პროდუქციის რაოდენობა მაქსიმუმ მოსალოდნელია პირობითად 81600 ტონის ოდენობით, მაშინ წელიწადში გადატვირთვის დრო ტოლი იქნება 81600/32=2550 სთ.

აქედან გამომდინარე წელიწადში გაფრქვეული მასა გაწმენდის გარეშე ტოლი იქნება:

$$G=35.556 \times 3600 \times 2550 / 10^6 = 326.404 \text{ ტ/წელ.}$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს აირმტვერნარევი გაივლის ცემენტშიდებზე დამონტაჟებულ – ნაჭრის ფილტრებს, რომლის ეფექტურობა ტოლია 99.9 %-ის, გვექნება:

$$M=35,556 \times 0.1 / 100 = 0.03556 \text{ გ/წმ.}$$

$$G=0.03556 \times 3600 \times 2550 / 10^6 = 0.326 \text{ ტ/წელ.}$$

***გაფრქვევები სილოსებიდან ცემენტის დაფასობისას ტომრებში (№500, გ-6).***

გამოყოფილი მტვრის რაოდენობა ყოველ დაფასობულ ტონა პროდუქციაზე შეადგენს 0.08 კგ-ს. იმის გათვალისწინებით, რომ წლიურად თითოეული გაფრქვევის წყაროდან დასაფასობელი ცემენტის რაოდენობა პირობითად ტოლია 81600 ტონის, ამასთან, თუ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვრის გამოყოფა ხდება დახურულ სივრცეში, გამოიყენება კოეფიციენტი 0.4, მაშინ მტვრის გაფრქვევის რაოდენობები ტოლი იქნება:

$$G=81600 \times 0.08 \times 0.4 / 10^3 = 2.611 \text{ ტ/წელ.}$$

$$M=2.611 \times 10^6 / (3600 \times 8160) = 0.08889 \text{ გ/წმ.}$$

6. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება

ფორმა #1. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება

წარმოების, საამქროს, უბნის დასახელება	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს			მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს					მავნე ნივთიერებათა		გამოყოფის წყაროდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, ტ/წელი
	ნომერი	დასახელება	რაოდენობა	ნომერი	დასახელება	რაოდენობა	მუშაობის დრო დღე-ღამეში	მუშაობის დრო წელიწადში	დასახელება	კოდი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ცემენტის დაფქვის საამქრო	გ-1	მილი	1	#1	წისქვილი, 5 ტ/სთ	1	24	8160	ცემენტის მტვერი	2908	8568.010
	გ-2	მილი	1	#2	წისქვილი, 15 ტ/სთ	1	24	8160	ცემენტის მტვერი	2908	78826.600
	გ-3	მილი	1	#3	ცემენტის სილოსი	3	24	8160	ცემენტის მტვერი	2908	1932.000
	გ-4	მილი	1	#4	ცემენტის სილოსი	8	24	8160	ცემენტის მტვერი	2908	4896.000
	გ-5	მილი	1	#5	ცემენტმზიდი	1	8	2550	ცემენტის მტვერი	2908	326.404
	გ-6	არაორგანიზ.	1	#500	ცემენტის დაფას-ობა ტომრებში	1	24	8160	ცემენტის მტვერი	2908	2.611
	გ-7	არაორგანიზ.	1	#501	კლინკერის საწყობ	1	24	8760	ცემენტის მტვერი	2908	1.104
	გ-8	არაორგანიზ.	1	#502	დანამატების საწყ	1	24	8760	არაორგანული მტვ.	2909	0.614
	გ-9	არაორგანიზ.	1	#503	ნედლეულის ჩაყრა 5 ტ/სთ წარმადობის ბუნკერში	1	24	8160	ცემენტის მტვერი	2908	0.021
	გ-10	არაორგანიზ.	1	#504	ნედლეულის ჩაყრა 15 ტ/სთ წარმადობის ბუნკერში	1	24	8160	არაორგანული მტვ.	2909	0.037
	გ-11	არაორგანიზ.	1	#505	ლენტური ტრანსპორტი-იორი	1	24	8160	ცემენტის მტვერი	2908	0.062
	გ-12	არაორგანიზ.	1	#506	ლენტური ტრანსპორტიორი	1	24	8160	არაორგანული მტვ.	2909	0.109
									ცემენტის მტვერი	2908	0.111
									არაორგანული მტვ.	2909	0.028

ფორმა №2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება

მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს ნომერი	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს პარამეტრები		აირჰაერნარევის პარამეტრები მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს გამოსავლის ადგილიდან			მავნე ნივთიერების კოდი	გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა			ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს კოორდინატები ობიექტის კოორდინატთა სისტემაში, მ					
							გ/მ <sup>3</sup>	გ/წმ	ტ/წელ	წერტილოვანი წყაროსათვის		ხაზოვანი წყაროსათვის			
	X	Y	ერთი ბოლოსათვის		მეორე ბოლოსათვის										
	სიმაღლე	დიამეტრი ან კვეთის ზომა,	სიჩქარე მ/წმ	მოცულობითი ხარჯი, მ <sup>3</sup> /წმ	ტემპერატურა, °C							X <sub>1</sub>	Y <sub>1</sub>	X <sub>2</sub>	Y <sub>2</sub>
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
გ-1	14.0	0.4	7.741	0.972	90	2908	0.123	0.11967	3.156	90	-215				
გ-2	18.0	0.5	19.533	3.833	90	2908	0.189	0.7245	21.283	78	-200				
გ-3	14.0	0.4	5.529	0.694	60	2908	0.08	0.05556	1.632	75	-214				
გ-4	14.0	0.4	16.587	2.083	60	2908	0.08	0.16667	4.896	85	-203				
გ-5	4.0	0.3	12.58	0.889	28	2908	0.04	0.03556	0.326	75	-212				
გ-6	4.0	0.5	1.5	0.29452	28	2908	-	0.08889	2.611	85	-205				
გ-7	4.0	0.5	1.5	0.29452	28	2908	-	0.03912	1.104	50	-240				
გ-8	4.0	0.5	1.5	0.29452	28	2909	-	0.02675	0.614	30	-245				
გ-9	4.0	0.5	1.5	0.29452	28	2908	-	0.0007	0.021	100	-225				
						2909	-	0.001235	0.037						
გ-10	4.0	0.5	1.5	0.29452	28	2908	-	0.0021	0.062	53	-212				
						2909	-	0.003715	0.109						
გ-11	4.0	0.5	1.5	0.29452	28	2908	-	0.00378	0.111	98	-220				
						2909	-	0.000945	0.028						
გ-12	4.0	0.5	1.5	0.29452	28	2908	-	0.00378	0.111	62	-210				
						2909	-	0.000945	0.028						

ფორმა №2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება (გაგრძელება)

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ფონური წყაროები შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“														
გ-13	85.0	5.54	3.7918	91.403	155	2909	-	8.7500	178.290	0	0			
გ-14	10.0	0.5	1.5	0.29452	31	2909	-	0.1220	2.486	160	101			
გ-15	2.0	0.5	1.5	0.29452	30	2909	-	0.21200	4.320	223	132			
გ-16	40.0	1.5	14.147	25.0	30	2909	-	0.9120	2.486	214	19			
გ-17	16.0	0.8	1.1897	0.598	28	2909	-	0.1720	3.505	182	78			
გ-18	6.0	1.0	9.4780	7.444	100	2908	-	0.050	0.720	181	42			
გ-19	6.0	1.0	9.4780	7.444	100	2908	-	0.050	0.720	190	42			
გ-20	6.0	1.0	9.4780	7.444	100	2908	-	0.050	0.720	196	46			
გ-21	6.0	1.0	9.4780	7.444	100	2908	-	0.050	0.720	201	50			
გ-22	6.0	1.0	9.4780	7.444	100	2908	-	0.050	0.720	207	54			
გ-23	6.0	1.0	9.4780	7.444	100	2908	-	0.050	0.720	212	59			
გ-24	30.0	1.0	15.915	12.5	45	2908	-	0.37500	5.400	238	-67			
გ-25	4.0	0.5	2.8265	0.555	30	2908	-	0.01670	0.355	197	-99			
გ-26	5.0	0.5	10.600	2.08131	30	2908	-	0.1840	2.650	238	-79			
გ-27	5.0	0.3	19.806	1.400	30	2909	-	0.070	1.411	403	205			
გ-28	3.0	0.3	11.317	0.800	30	2909	-	0.0400	0.806	315	145			
გ-29	30.0	0.3	11.317	0.800	30	2909	-	0.0400	0.806	358	90			
გ-30	40.0	0.3	11.317	0.800	30	2909	-	0.0400	0.806	202	6			
გ-31	10.0	0.5	3.00	0.5890	30	2909	-	0.1800	3.769	212	110			
გ-32	4.0	0.5	3.00	0.5890	30	2909	-	0.1800	3.769	161	73			
გ-33	2.0	0.5	3.00	0.5890	30	2909	-	0.1800	3.769	79	14			
გ-34	4.0	0.5	3.00	0.5890	30	2909	-	0.002	0.012	32	35			
ფონური წყაროები შპს „რუსელოსი“														
გ-35	4.0	0.5	3.00	0.5890	30	2909	-	0.014069	0.044	0	260			
ფონური წყაროები შპს „მეგა ცემენტი“														
გ-36	22	0.7	6.2	2.38604	60	2908	-	1.640625	18.428	-240	-230			
გ-37	25	0.1	16.3	0.12802	30	2908	-	0.16667	1.872	-245	-225			
გ-38	4.0	0.5	3.00	0.5890	30	2909	-	0.270622	3.040	-248	-215			

ფორმა №3. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების მუშაობის მაჩვენებლები

მავნე ნივთიერებათა			აირმტვერდამჭერი მოწყობილობის		მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია, გ/მ <sup>3</sup>		აირმტვერდამჭერი მოწყობილობის გაწმენდის კხარისხი %	
გამოყოფის წყაროს ნომერი	გაფრქვევის წყაროს ნომერი	კოდი	დასახელება	რაოდენობა ცალი	გაწმენდამდე	გაწმენდის შემდეგ	საპროექტო	ფაქტიური
1	2	3	4	5	6	7	8	9
გ-1	#1	2908	ციკლონი	1	300	120	60	60
			სახელოებიანი ფილტრი	1	120	0.120	99.9	99.9
გ-2	#2	2908	დამლექი კამერა	1	700	930	10.0	10.0
			ციკლონი		630	189	70	70
			სახელოებიანი ფილტრი	1	189	0,189	99.9	99.9
გ-3	#3	2908	სახელოებიანი ფილტრი	1	80	0.08	99.9	99.9
გ-4	#4	2908	სახელოებიანი ფილტრი	1	80	0.08	99.9	99.9
გ-5	#5	2908	სახელოებიანი ფილტრი	1	40	0.04	99.9	99.9

ფორმა #4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა, მათი გაწმენდა და უტილიზირება, ტ/წელი

მავნე ნივთიერებათა		გამოყოფის წყაროებიდან წარმოქმნილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, (სვ.4+სვ.6)	მათ შორის			გასაწმენდად შემოსულიდან დაჭერილი და გაუვნებელყოფილი		სულ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა (სვ.3-სვ.7)	მავნე ნივთიერებათა დაჭერის პროცენტი გამოყოფილთან შედარებით, (სვ.7/სვ.3)•100
			გაფრქვეულია გაწმენდის გარეშე		სულ მოხვდა გამწმენდ მოწყობილობაში	სულ	მათ შორის		
კოდი	დასახელება		სულ	მათ შორის ორგანიზებული გამოყოფის წყაროებიდან				უტილიზირებულია	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
2908	ცემენტის მტვერი	94553.030	4.020	-	94549.010	94517.720	94517.720	35.313	99.96
2909	არაორგანული მტვერი	0.816	0.816	-	-	-	-	0.816	-

## 7. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში, მიღებული შედეგები და ანალიზი

### 7.1. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშისთვის გამოყენებული კომპიუტერული პროგრამა და გაანგარიშების ამონაბეჭდის მოკლე დახასიათება

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში განხორციელდა ავტომატიზებული კომპიუტერული პროგრამა `ЭКОЛОГ` - ის გამოყენებით, რომელიც აკმაყოფილებს მავნე ნივთიერებათა გაბნევის ნორმების სათანადო მოთხოვნებს.

მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშისთვის საჭირო საწყის მონაცემებს წარმოადგენს:

- საწარმოს გენგემა მასზედ გაფრქვევის წყაროთა ჩვენებით;
- საწარმოს განლაგების სიტუაციური რუკა-სქემა;
- საწარმოს განლაგების რაიონის კლიმატურ და ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები;
- საწარმოდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები;
- დასახლებული პუნქტისთვის ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმები.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში იწარმოება მავნე ნივთიერებათა გაბნევის სხვადასხვა პარამეტრებისთვის, აირჩევა რა ამ პირობებიდან გაბნევის არახელსაყრელი და სწორედ ასეთი შემთხვევისთვის იანგარიშება მავნე ნივთიერების შესაძლო მაქსიმალური კონცენტრაცია ატმოსფერულ ჰაერში. მანქანური ანგარიშისას იგი განისაზღვრება სპეციალურად შერჩეულ წერტილებში და, აგრეთვე, საანგარიშო ბადის კვანძებში. საანგარიშო ბადედ მიღებულია კვადრატული ფორმის ტერიტორია 1000მ x 1000მ ბიჯით 100მ. გაბნევის ანგარიში ჩატარდა მავნე ნივთიერებათა ფონური კონცენტრაციების გათვალისწინებით [3]-ის შესაბამისად.

მანქანური დამუშავების კომპიუტერული სისტემა იძლევა მთლიანი საწყისი მონაცემების წარმოდგენას და ყოველი მავნე ნივთიერებისთვის შესრულებული ანგარიშის შედეგებს.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის შედეგები წარმოდგენილია დანართ 3-ში მანქანური ანგარიშის ამონაბეჭდის სახით და მათში ასახულია:

- მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს პარამეტრები;
- საწარმოს განთავსების რაიონის მახასიათებელი კლიმატურ და მეტეოროლოგიური პარამეტრები, ქარის სხვადასხვა საანგარიშო სიჩქარეები;
- მავნე ნივთიერებათა ჯამური გაფრქვევები წყაროებიდან;
- მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაციები საანგარიშო ბადის ყოველი x და y წერტილებისთვის;



- მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაციების წერტილები ზაფხულისთვის;
- მავნე ნივთიერებათა გაბნევის რუკები.

**7.2. ელექტროგამომთვლელ მანქანაზე გაბნევის გაანგარიშების შედეგების ანალიზი**

უახლოესი დასახლებული პუნქტი საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია 100 მეტრით.

კორდინატთა სისტემის ნულოვან წერტილად აღებული იქნა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს ცემენტის ქარხნის კლინკერის გამოწვის დანადგარების გაფრქვევის მილის წყარო, რომლის მიმართ უახლოესი დასახლებული პუნქტის კორდონატებია: სამხრეთის მხრიდან (70; -400), სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან (-50; 400), ხოლო სხვა მიმართულებით 500 მეტრი მანძილის რადიუსში დასახლებული პუნქტი არ ფიქსირდება. ასევე ჩრდილოეთის მიმართულებით ესაზღვრება შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს ცემენტის ქარხნის ტერიტორია, ამიტომ ჰაერის ხარისხის მოდელირება შესრულდა აღებული ნულოვანი წყაროებიდან შემდეგ კორდინატებზე:

1- (70; -400), 2 – (-50; -400).

გათვლები განხორციელდა იმ შემთხვევისათვის, როცა ერთდროულად აფრქვევს ყველა წყარო, რაც შეეყვანილ იქნა კომპიუტერში, მოცემულია დანართის პირველ ფურცელზე. გათვლების ანგარიშში გათვალისწინებული იქნა ფონური წყაროებად შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს, შპს „რუსელოისის და შპს „მეგა ცემენტი“-ს საწარმოებიდან გაფრქვევის ინტენსივობები. ასევე გათვალისწინებული იქნა ფონური მახასიათებლები ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინებით (125-250 ათასი მოსახლეობა), რომლებიც კუმულაციურ ზემოქმედებაშია აღნიშნულ საწარმოსთან.

აღნიშნული შედეგები მოცემულია ცხრილ 7.1-ში.

ცხრილი 7.1.

მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის შედეგები ცემენტის წარმოებისას

მავნე ნივთიერებათა დასახელება	მავნე ნივთიერებათა ზდკ-ის წილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებული პუნქტის კორდინატები	
	(70; -400)	(-50; -400)
1	2	3
არაორგანული მტვერი	0.74 ზდკ	0.79 ზდკ
ცემენტის მტვერი	0.94 ზდკ	0.99 ზდკ

## 8. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები თითოეული გაფრქვევის წყაროსთვის წარმოდგენილია ცხრილ 8.1-ში.

ცხრილი 8.1.

ზღვ-ს ნორმები ხუთწლიან პერიოდში თითოეული გაფრქვევის წყაროსათვის და თითოეული მავნე ნივთიერებისათვის

გამოყოფის წყაროს დასახელება	გაფრქვევის წყაროს ნომერი	ზღვ-ს ნორმები 2022 – 2027 წლებისათვის		
		გ/მ <sup>3</sup>	გ/წმ	ტ/წელ
1	2	3	4	5
<b>ცემენტის მტვერი</b>				
წისქვილი, 5 ტ/სთ	გ-1	0.123	0.11967	3.156
წისქვილი, 15 ტ/სთ	გ-2	0.189	0.7245	21.283
სილოსი	გ-3	0.08	0.05556	1.632
სილოსი	გ-4	0.08	0.16667	4.896
გაცემა ცემენტშიდ.	გ-5	0.04	0.03556	0.326
ცემენტის დაფასოება	გ-6	-	0.08889	2.611
კლინკერის საწყობი	გ-7	-	0.03912	1.104
ნედლეულის ჩაყრა 5 ტ/სთ წარმადობის ბუნკერებში	გ-9	-	0.0007	0.021
ნედლეულის ჩაყრა 15 ტ/სთ წარმადობის ბუნკერებში	გ-10	-	0.0021	0.062
ნედლეულის 5 ტ/სთ წარ. წისქვილში ტრანსპორტირება	გ-11	-	0.00378	0.111
ნედლეულის 15 ტ/სთ წარ. წისქვილში ტრანსპორტირება	გ-12	-	0.00378	0.111
სულ:		0.512	1.24033	35.313
<b>არაორგანული მტვერი</b>				
დანამატების საწყობი	გ-8	-	0.02675	0.614
ნედლეულის ჩაყრა 5 ტ/სთ წარმადობის ბუნკერებში	გ-9	-	0.001235	0.037
ნედლეულის ჩაყრა 15 ტ/სთ წარმადობის ბუნკერებში	გ-10	-	0.003715	0.109
ნედლეულის 5 ტ/სთ წარ. წისქვილში ტრანსპორტირება	გ-11	-	0.000945	0.028
ნედლეულის 15 ტ/სთ წარ. წისქვილში ტრანსპორტირება	გ-12	-	0.000945	0.028
სულ:		-	0.03359	0.816

## 9. ზღვ-ს ნორმები ხუთწლიან პერიოდში მთლიანად საწარმოსათვის

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები ხუთწლიან პერიოდში მთლიანად საწარმოსათვის წარმოდგენილია ცხრილ 9.1-ში.

ცხრილი 9.1.

ზღვ-ს ნორმები ხუთწლიან პერიოდში მთლიანად საწარმოსათვის


მავნე ნივთიერებების დასახელება	ზღვ-ს ნორმები 2022– 2027 წლებისათვის		
	გ/მ <sup>3</sup>	გ/წმ	ტ/წელ
1	2	3	4
ცემენტის მტვერი	0.512	1.24033	35.313
არაორგანული მტვერი	-	0.03359	0.816

## 10. გამოყენებული ლიტერატურა

1. EMEP/CORINAIR, Atmospheric Emission Inventory Guidebook, Sec. Ed., V.2, (Edited by Stephen Richardson), 1999
2. საქართველოს კანონი «გარემოს დაცვის შესახებ». თბილისი, 1996.
3. საქართველოს კანონი "ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ", თბილისი, 1999.
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება #42 2014 ~ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტი”..
5. საქართველოს მთავრობის დადგენილება #408 2014 წლის 31 დეკემბერი ~ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტი”.
6. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 24 თებერვლის ბრძანება #38/ნ «გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ».
7. საქართველოს მთავრობის დადგენილება ~დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე”, #435 2013 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი.
8. Методические указания по расчету выбросов загрязняющих веществ в атмосферу предприятиями строительной индустрии, Алма-Ата 1992.
9. Оценка источников загрязнения атмосферы, воды и суши. Александр П. Экономопулос. Университет Демокрита во Франции, ВОЗ, Женева, 1993.
10. სხვადასხვა დარგთა საწარმოების ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობა-დანადგარებიდან ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა ხვედრითი გაფრქვევების ნორმატიული მაჩვენებლები, მესამე (გადამუშავებული) გამოცემა, (11-იდან 21-მდე განყოფილებანი და დანართი), ხარკოვი, 1991 წელი(რუსულ ენაზე).

## დ ა ნ ა რ თ ი :

- საწარმოს გენ-გეგმის სქემა
- საწარმოს განლაგების სიტუაციური რუკა-სქემა
- მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის მონაცემები



ნახ. 3. საწარმოს გენ-გეგმა გაფრქვევის წყაროების ჩვენებით



**УПРЗА ЭКОЛОГ, версия 3.00**  
**Copyright © 1990-2009 ФИРМА "ИНТЕГРАЛ"**

სერიული ნომერი 01-15-0276, Институт Гидрометеорологии Грузии

საწარმოს ნომერი 166; შპს "გია-2019"  
ქალაქი რუსთავი

შეიმუშავა Фирма "ИНТЕГРАЛ"

საწყისი მონაცემების ვარიანტი: 1, საწყისი მონაცემების ახალი ვარიანტი  
გაანგარიშების ვარიანტი: გაანგარიშების ახალი ვარიანტი  
გაანგარიშება შესრულებულია: ზაფხულისთვის  
გაანგარიშების მოდული: "ОНД-86"  
საანგარიშო მუდმივები: E1= 0,01, E2=0,01, E3=0,01, S=999999,99 კვ.კმ.

**მეტეოროლოგიური პარამეტრები**

ყველაზე ცხელი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა	25° C
ყველაზე ცივი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა	0,8° C
ატმოსფეროს სტრატოფიკაციის ტემპერატურაზე დამოკიდებული კოეფიციენტი,	200
ქარის მაქსიმალური სიჩქარე მოცემული ტერიტორიისთვის (გადამეტების განმეორებადობა 5%-ის ფარგლებში)	12,9 მ/წმ

**საწარმოს სტრუქტურა (მოედნები, საამქრო)**

